შესყიდვებს

შეთანხმება
ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „თავადი-I"-ს შორის 2015 წლის 12 ოქტომბერს
დადებულ №349 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№ 53/349
23 10 2015
1

ქ. ზუგდიდი *28 ოქტომბერი, 2015 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორე მხრივ, *შპს „თავადი-I"* (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ელგუჯა გურიელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2015 წლის 12 ოქტომბერს დადებულ №349 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში _ ხელშეკრულება) შეტანილ იქნეს ცვლილება:

   ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

   პუნქტი 4.6. _ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდელობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მინიჭებული, შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე პირის მიერ). საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ვადებთან. ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარდგენა უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი	*მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*შპს „თავადი-I"*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №12
საინდენტიფიკაციო კოდი: *220416967*	საიდენტიფიკაციო კოდი: *220402632*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*შპს „თავადი-I"-ს დირექტორი:*
..... /ე. თოლორაია/	...../ ე. გურიელი/